



## საქართველოს მთავრობის დადგენილება

N 446 2018 წლის 29 აგვისტო ქ. თბილისი

კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარებასთან დაკავშირებული  
ზოგიერთი ღონისძიების შესახებ

მუხლი 1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 20<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ამ დადგენილების დანართით განისაზღვროს საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი, რომლის ფარგლებშიც 2019 წლიდან შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვა განხორციელდება კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით.

მუხლი 2. ამ დადგენილების დანართით განსაზღვრული საქონლისა და მომსახურების შესასყიდად კონსოლიდირებული ტენდერების განხორციელების კონკრეტული თარიღები და შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტები, აგრეთვე სატენდერო კომისი(ებ)ის შემადგენლობა და სხვა სათანადო საკითხები განისაზღვროს საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულებებით.

### მუხლი 3

1. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებმა და მათ კონტროლს დაქვემდებარებულმა შემსყიდველმა ორგანიზაციებმა 2019 წლისთვის საჭირო ის საქონელი და მომსახურება, რომელიც ექცევა ამ დადგენილების დანართით გათვალისწინებულ ჩამონათვალში, შეისყიდონ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან შეთანხმებით.

2. ეთხოვით შემსყიდველ ორგანიზაციებს, რომლებიც არ არიან გათვალისწინებული ამ მუხლის პირველ პუნქტში, 2019 წლისთვის საჭირო ის საქონელი და მომსახურება, რომელიც ექცევა ამ დადგენილების დანართით გათვალისწინებულ ჩამონათვალში, შეისყიდონ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან შეთანხმებით.

3. ამ მუხლის შესაბამისად, შემსყიდველმა ორგანიზაციამ შესყიდვა უნდა შეათანხმოს მის განხორციელებამდე, მანამ, სანამ იგი, დადგენილი წესით, გააფორმებს ხელშეკრულებას შესაბამისი კონსოლიდირებული ტენდერის საფუძველზე.

მუხლი 4. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ, თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს სათანადო ღონისძიებები ამ დადგენილების აღსრულებისთვის.

მუხლი 5. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი



მამუკა ბახტაძე

№	საქონელი და მომსახურება
1.	კვება
1.1.	03100000 – სოფლის მეურნეობისა და ბაღჩეული პროდუქტები
1.2.	03200000 – ბურღულეული, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი და თხილეული
1.3.	03300000 – მეცხოველეობის პროდუქტები, ნანადირევი და თევზჭერის პროდუქტები
1.4.	15100000 – ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, ხორცი და ხორცის პროდუქტები
1.5.	15200000 – მზა და დაკონსერვებული თევზი
1.6.	15300000 – ხილი, ბოსტნეული და მონათესავე პროდუქტები
1.7.	15400000 – ცხოველური ან მცენარეული ზეთები და ცხიმები
1.8.	15500000 – რძის პროდუქტები
1.9.	15600000 – დაფქული მარცვლეული პროდუქტები, სახამებელი და სახამებლის პროდუქტები
1.10.	15800000 – სხვადასხვა საკვები პროდუქტი
1.11.	15900000 – სასმელები, თამბაქო და მონათესავე პროდუქტები
1.12.	41100000 – ბუნებრივი წყალი
1.13.	55300000 – რესტორნებისა და კვების საწარმოების მომსახურებები
1.14.	55500000 – სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურება
2.	საწვავი
2.1.	09100000 – საწვავი
3.	ტანსაცმელი
3.1.	18100000 – სამუშაო ტანსაცმელი, სპეცტანსაცმელი და აქსესუარები
3.2.	18200000 – გარედან ჩასაცმელი ტანსაცმელი
3.3.	18300000 – ტანსაცმელი
3.4.	18400000 – სპეციალური ტანსაცმელი და აქსესუარები
3.5.	18800000 – ფეხსაცმელი
3.6.	35800000 – ინდივიდუალური და დამზარე მოწყობილობები (უნიფორმები)
3.7.	39500000 – ქსოვილის ნივთები
4.	საკანცელარიო ნივთები
4.1.	30100000 – საოფისე მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა
5.	კომპიუტერები და IT მომსახურება
5.1.	30200000 – კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები
5.2.	32400000 – ქსელები
5.3.	32500000 – სატელეკომუნიკაციო მოწყობილობები და აქსესუარები
5.4.	48200000 – ქსელების, ინტერნეტისა და ინტრანეტის პროგრამული პაკეტები
5.5.	48300000 – დოკუმენტების, გრაფიკული გამოსახულებების შექმნის, გამოსახულების დამუშავების, დაგეგმვისა და წარმადობის გაზრდის პროგრამული პაკეტები
5.6.	48400000 – საქმიანი გარიგებებისა და პირადი საქმიების მართვის პროგრამული პაკეტები
5.7.	48500000 – საკომუნიკაციო და მულტიმედიის პროგრამული პაკეტები
5.8.	48600000 – მონაცემთა ბაზისა და ოპერაციული პროგრამული პაკეტები
5.9.	48700000 – პროგრამული პაკეტების მომსახურე პროგრამები
5.10.	48800000 – საინფორმაციო სისტემები და სერვერები
5.11.	48900000 – სხვადასხვა სახის პროგრამული პაკეტები და კომპიუტერული სისტემები
5.12.	50300000 – პერსონალური კომპიუტერების, საოფისე აპარატურის, სატელეკომუნიკაციო და აუდიოვიზუალური მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მათთან დაკავშირებული მომსახურებები
5.13.	72100000 – აპარატურულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურებები

5.14.	72200000 – პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება და საკონსულტაციო მომსახურებები
5.15.	72400000 – ინტერნეტმომსახურებები
5.16.	72700000 – კომპიუტერული ქსელის მომსახურება
6.	ჯანდაცვა
6.1.	33100000 – სამედიცინო მოწყობილობები
6.2.	33600000 – ფარმაცევტული პროდუქტები
6.3.	33900000 – აუტოფსიისა და მორგისთვის საჭირო მოწყობილობები და აქსესუარები
6.4.	50400000 – სამედიცინო და ზუსტი საზომი აპარატურის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება
6.5.	85100000 – ჯანდაცვის სფეროს მომსახურებები
6.6.	85200000 – ვეტერინარიული მომსახურებები
6.7.	85300000 – სოციალური დახმარების სამსახური და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
7.	სატრანსპორტო საშუალებები
7.1.	34100000 – ავტოსატრანსპორტო საშუალებები
7.2.	34200000 – სატრანსპორტო საშუალებების ძარები, მისაბმელები ან ნახევრადმისაბმელები
7.3.	34300000 – ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის
7.4.	34400000 – მოტოციკლეტები, ველოსიპედები და მოტოციკლეტის ეტლები
7.5.	34600000 – რკინიგზისა და ტრამვაის ლოკომოტივები და მოძრავი შემადგენლობა და თანმდევი ნაწილები
7.6.	34900000 – სხვადასხვა სატრანსპორტო მოწყობილობა და სათადარიგო ნაწილები
7.7.	50100000 – სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
7.8.	50200000 – თვითმფრინავების, რკინიგზის, საგზაო და საზღვაო მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მათთან დაკავშირებული მომსახურებები
7.9.	60100000 – საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებები
7.10.	60400000 – საჰაერო ტრანსპორტის მომსახურებები
7.11.	63700000 – სახმელეთო, წყლისა და საჰაერო ტრანსპორტის დამხმარე მომსახურებები
8.	ავეჯი
8.1.	39100000 – ავეჯი
8.2.	39200000 – ავეჯის აქსესუარები
9.	კომუნიკაციები
9.1.	64200000 – სატელეკომუნიკაციო მომსახურებები
9.2.	92200000 – სატელევიზიო და რადიომომსახურებები
10.	დაზღვევა
10.1.	66500000 – სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებები
11.	დაცვის მომსახურება
11.1.	79700000 – გამოძიებასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მომსახურებები
12.	ღონისძიების ორგანიზება
12.1.	79900000 – სხვადასხვა კომერციული მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
13.	დასუფთავების მომსახურება
13.1.	90500000 – ნარჩენებსა და ნაგავთან დაკავშირებული მომსახურებები
13.2.	90600000 – ქალაქის ან სოფლის ზონების დასუფთავება და სანიტარული მომსახურება, ასევე მათთან დაკავშირებული მომსახურებები
13.3.	90900000 – დასუფთავება და სანიტარული მომსახურება